პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის _____ სექტემბერი, ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმში, ნონეშვილის ქ. N65-ში და ქ. ბათუმში, ნონეშვილის ქ. N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.30.09.075; N05.30.09.076) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქალაქ ბათუმში, ნონეშვილის ქ. N65-ში და ქ. ბათუმში, ნონეშვილის ქ. N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.30.09.075; 05.30.09.076) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.
2. განემარტოს შპს „ბათნეოინვესტს“ (ს/N 445691546), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტში გაითვალისწინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2025 წლის 26 აგვისტოს N 01-01-10/5683 წერილით დადგენილი პირობები.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმში, ნონეშვილის ქ. N65-ში და ქ. ბათუმში, ნონეშვილის ქ. N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.30.09.075; 05.30.09.076) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, ნონეშვილის ქ. N65-ში და ქ. ბათუმში, ნონეშვილის ქ. N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.30.09.075; 05.30.09.076) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

განმცხადებელი - შპს ,,ბათნეოინვესტ'' (ს/445691546). გეგმარებითი ერთეული - ქალაქ ბათუმში, ნონეშვილის ქ. N65-ში და ქ. ბათუმში, ნონეშვილის ქ. N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე 05.30.09.075; 05.30.09.076.

საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართი ჯამში შეადგენს - 33 650 მ2.

საპროექტო ტერიტორიის კვლევის არეალი შეადგენს 600 მ რადიუსს. საპროექტო არეალში მოქმედებს შემდეგი ფუნქციური ზონები: • ცენტრის ზონა (შზ-2) კ1=0,5/07; კ2=3,2; კ3=0,3; • სპეციალური ზონა • საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) კ1=0,5; კ2=1,8; კ3=0,3; • მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) კ1=0,5; კ2=2,5; კ3=0,3; • სატრანსპორტო ზონა • საწარმოო ზონა • გამწვანებული ტერიტორია. საპროექტო არეალი (ორივე საკადასტრო ერთეული) განლაგებულია საწარმო ზონაში (სზ) დაგეგმილია დახურული ტიპის ხუთ-ცხრასართულიანი საცხოვრებელ კორპუსები. გადაგზავნილი იყო მოსაზრებისათვის ეკონომიკის სამინისტროში, საიდანაც მოვიდა დადებითი რეკომენდაცია იმ პირობით, რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტში გაითვალისწინოს შემდეგი - წარმოდგენილი გამწვანების პროექტის საპროექტო წინადადება და სამშენებლო მიწის ნაკვეთის გენგეგმა ურთიერთშეუსაბამოა, რომელიც უნდა დაკორექტირდეს განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის ეტაპზე.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, ნონეშვილის ქ. N65-ში და ქ. ბათუმში, ნონეშვილის ქ. N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე 05.30.09.075; 05.30.09.076 წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარ-ჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი**
წანაწყენიშვილი